საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნუკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და N 498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 მთავრობის 2019 წლის 31 მაისის ყოფილი N57 დადგენილებით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხის N4, 697 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.11.13.002.166)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: გ.კოპლატაძე, ე.აბაკელია

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტით.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" თანახმად) გათვალისწინებული შემადგენლობით. საქართველოს მთავრობს 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების და №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილები ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე). განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41დადგენილებასთან ტექნიკურრეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის
უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა,მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინებიდაგანმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

გამოსაკვლევი ნაწილები:

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის 63 დადგენილებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47 „არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა“) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილის შეფასებას, ტექნიკურ-რეგლამენტთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის 63 -ე დადგენილების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა დადაკავებულობისდატვირთვებისშეფასებას;

ბ) კონსტრუქციისტიპებისშეფასებას;

გ) სიმაღლისადაფართობისშეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთანმისადგომების, გასავლელებისადაშენობიდანგამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისადასხვაგასასვლელისაშუალებებისგამტარუნარიანობებისშეფასებას;

ვ) მისაწვდომობისშეფასებას;

ზ) გარეკედლებისადმიმოთხოვნებისშეფასებას;

თ) სახურავისანაწყობებისშეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობისხარისხიანიმოთხოვნილიგამმიჯნავებისშეფასებას;

კ) ხანძრისაგანდაცვისსისტემებისშეფასებას;

ლ) წყალსადენის სისტემისფიქსირებულიმოწყობილობებისშეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას.

გამოკვლევა

საპროექტო ობიექტი, მრავალფუნქციური შენობა, მდებარეობს ქ. თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხის N4, 697 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 01.11.13.002.166.;

რელიეფი ქანობიანია, ნიშნულებს შორის საშუალოდ 8 მეტრიანი სხვაობით. აბსოლუტური ნიშნული 0.00 დაახლოებით შეესაბამება აბსოლიტურ 580.00-ნიშნულს.

ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება შენგელიას ქუჩა, საიდანაც ვხვდებით საპროექტო კომერციულ სივრცეში და სადარბაზოში. ავტოსადგომებზე მოხვედრა ხდება სამხრეთის მხრიდან, ვიწრო ქუჩით - ჩიხით.

-2 სართულზე (-8,10) განთავსებულია კომერციული ფართი და სადარბაზო, -1 სართულზე (-3,50) საოფისე ფართი და სადარბაზო, პირველ სართულზე (0,00), რომელიც უსწორდება უკანა ქუჩას, განთავსებულია ღია ავტოფარეხი და სადარბაზო. +2.90 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე ფართი და სადარბაზო, შემდეგი 6 სართული ტიპიური საცხოვრებელი სართულებია. სართულის მოშენება 400 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია, გათვალისწინებულია 1 შეუბოლავი კიბე და 1 ლიფტი 41-ე დადგენილების სტანდარტების მიხედვით. საპროექტო შენობის დიდი ნაწილი გრუნტში ხვდება, საძირკვლად აღებულია ფილა.

პროექტის ექსტერიერი სადად არის გადაწყვეტილი, ერთ სიბრტყედ გამოწეული კონსოლური აივნები ნაწილობრივ დახურულია გათბობისა და გაგრილების სისტემების სამონტაჟოდ. ესკიზური პროექტში გათვალისწინებულია მომიჯნავე, მშენებარე შენობის ფასადის დაშორება მაგისტრალიდან.

მრავალფუნქციურ შენობაში გათვალისწინებულია 14 (თოთხმეტ) ავტომობილზე სივრცე, მათ შორის ერთი შშმ პირებისთვის. მეორე სართულიდან მერვეს ჩათვლით ყველა სართული საცხოვრებელია. სულ 30 (ოცდა თხუთმეტი) ბინაა. შენობა გადახურულია ბრტყელი სახურავით, რომელიც შემოსაზღვრული იქნება 1,10 მ. სიმაღლის პარაპეტით.

შენობის კონსტრუქციული კარკასი წარმოადგენს რკინაბეტონის სვეტებისა და რიგელების სისტემას. საძირკველი კომბინირებულია, სართულშუა გადახურვა რკინაბეტონის მონოლითური ფილაა. გარე კედლები და შიგა ტიხრებისთვის გათვალისწინებულია წვრილი საკედლე ბლოკი.

გათბობა-ვენტილაცია განხორციელდება ავტომატურად, საკედლე ქვაბებისთვის გათვალისწინებულია შემოზღუდული სივრცეები აივანზე.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებულ თითოული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302- ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობა სწ-2, სავაჭრო ჯგუფი სვ და საცხოვრებელი ჯგუფი სც-2, კერძოდ:

- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა სართულზე არსებული ღია ავტოსადგომი) -8.10 ნიშნულზე)
- სავაჭრო ჯგუფი სვ (მიწისქვეშა სართულზე არსებული კომერციული სივრცე) -8.10 ნიშნულზე)
- საქმიანი ჯგუფი სქ (მიწისქვეშა სართულზე არსებული საოფისე სივრცე) -3.50 და +2.90 ნიშნულზე)
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე)
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე)

- საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 მრავალბინიანი სახლების ქვეჯგუფი (+**6.20** ნიშნულიდან **+22,70** ნიშნულის ჩათვლით))

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა სართულზე არსებული ღია ავტოსადგომი) -8.10 ნიშნულზე)
- სავაჭრო ჯგუფი სვ (მიწისქვეშა სართულზე არსებული კომერციული სივრცე) -8.10 ნიშნულზე)
- საქმიანი ჯგუფი სქ (მიწისქვეშა სართულზე არსებული საოფისე სივრცე) -3.50 და +2.90 ნიშნულზე)
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე)
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე)
- საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 მრავალბინიანი სახლების ქვეჯგუფი (+**6.20** ნიშნულიდან **+22,70** ნიშნულის ჩათვლით))

მრავალფუნქციურ შენობაში სწორად არის განსაზღვრული შეზღუდუ-ლი შესაძლებლობების პირისთვის განკუთვნი-ლი ბინები.

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 304; 309; 310.4 და 311.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა სართულზე არსებული ღია ავტოსადგომი) -8.10 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 311.3 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, ანუ 18,6-ზე . დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 2+1=3 დამკავებელს.
- სავაჭრო ქვეჯგუფი სვ (მიწისქვეშა სართულზე არსებული სივრცე) -8.10 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 309 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, ანუ 2,8 -ზე . დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 93 დამკავებელს.
- საქმიანი ჯგუფი სქ (მიწისქვეშა სართულზე არსებული სივრცე) -3.50 და +2.90 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 304 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, ანუ 9,3 -ზე . დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 25 +28=53 დამკავებელს.
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 312 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, ანუ 18,6-ზე . დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 14 დამკავებელს.
- სასაწყობე ქვეჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი) 0.00 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 312 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, ანუ 18,6-ზე . დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 3 დამკავებელს.
- საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 მრავალბინიანი სახლების ქვეჯგუფი (+**6.20** ნიშნულიდან **+22,70** ნიშნულის ჩათვლით))სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 310.4 ქვეთავის გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ

18,6-ზე. დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 15X6(ტიპიური სართული)=90 დამკავებელს.

დაკავებულობის დატვირთვა დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს I-B ტიპს. შერჩეულია შენობის დაკავებულობის, სიმაღლის, სართულიანობისა და ფართობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

გ)სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კოსნტრუქციული I B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 27.00 მეტრი, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 22.70 მ-ზე ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 302 ; თავი 5, ქვეთავი 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია

შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დანართის სახით გიგზავნით საექსპერტო შეფასების განმარტებით ბარათ-ის PDF-ფაილს:

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

დაკავებულობის და სართულიანობის გათვალისწინებით შენობას ესაჭიროება ერთი გასასვლელი N **498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის**(ცხრილი 1021.2(1), რაც პროექტით გათვალისწინებულია. ანუ შენობის ყველა

სართულს აქვს ერთი გასასვლელი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით, რომელიც პირდაპირ შენობის გარეთ გადის. დამკავებელთა რაოდენობის და გასასვლელთან სავალი მანძილის გათვალისწინებით აღნიშნული სივრცისთვის ერთი გასასვლელი საკმარისია და აკმაყოფილებს როგორც 1015.1 ასევე 1021.2(1) ცხრილების მოთხოვნებს.

- შენობის გზა-კიბე, შენობის გარეთ მიემართება.
- შენობის გზა-კიბეს, ანუ გასასვლელებს აქვს გასასვლელთან მისადგომები საკმაოდ განიერი დერეფნების სახით, რაც აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის მოთხოვნებს;
- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილების ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობების გათვალისწინებით და აკმაყოფილებს„წესების“ 1016.2 ცხრილის და 1016.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეშიხდება დაუბრკოლებლად საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.
- ვინაიდან შენობა არის მაღლივი, გზა-კიბე არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცე, საკმარისია 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად, დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდებოდეს ბუნებრივად ან მექანიკურად, რაც პროექტით გათვალისწინებულია (განიავება ხდება მექანიკურად). გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლის მიხედვით კვამლისა და წევის მაკონტროლებელი კარის ანაწყობი UL 1784-ის შესაბამისად შემოწმდება ძირში ხელოვნული საგმანავის განთავსების გარეშე.
- შენიშვნა №2: „3“-„4“ ღერძებს შორის დაპროექტებულ გზა-კიბის შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად არის დაყენებული , რომელიც კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად იხურება. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი დასჭირდება.
- შენიშვნა №3: დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტრო სისტემამ ავტომატურად გაანათებს გზა-კებე (ზოგადად გასასვლელი საშუალებები) და დენით მომარაგებას უზრუნველყოფს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში,რომელიც შედგება აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილების ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობების გათვალისწინებით და აკმაყოფილებს„წესების“ 1016.2 ცხრილის და 1016.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეშიხდება დაუბრკოლებლად.

ე)გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შენობის გზა-კიბეის სიგანე არის 1,3 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ, მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;
- სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ:
  დერეფნების სიგანე 1,50 მეტრზე მეტი არის, რაც აკმაყოფილებს 1005.3.2 ქვეთავის და 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს .
- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: შენობის იატაკის ნიშნული და საზოგადოებრივი სივრცის ნიშნულის სხვაობა არ გააჩნია.
- შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;
- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ)გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობის კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**(საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
1-4’ ღეძებში	9 მეტრზე მეტი	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			35.7%
1-ბ ღერძსა და 1-გ ღერძებს შორის	5.50/2= 2,75 შენობის ორ კედელს შორის მანძილი	1	2	25%	25%	10%			10 %
4’-1 ღეძებში	9 მეტრზე მეტი (საზოგადოებრივი გზის მხარე)	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			85.7%
ა-დ ღეძებში	0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები	1	2	დაუშვებელია	დაუშვებელია	დაუშვებელია			0 %
დ-ა ღეძებში	0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები	1	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	70%			0 %

შენიშვნა: ფასადზე ღიობების პროცენტულობა დაანგარიშებულია იმ ღიოებების მიხედვით, რომელიც გაღებადია.

- რაც შეეხება გარე კედლებში განთავსებული ღიობების ფართობებს, ის აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;
- დაცულია აგრეთვე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, რომლის თანახმად გარე კედლის ღიობები ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან შვეულად გამიჯნულია 0,9 მ-ზე მეტი მანძილით ან გააჩნიათ 0,76 მ-ზე ერკერი;
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავს .

თ)სახურავის ანაწყობების შეფასება:

- შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა,მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში. სახურავის კონსტრუქცია არის 2 საათიანი ცეცხლმედეგობისხარისხის, თუმცა კონსტრუქციის ტიპიდან (I-B) გამომდინარე 601 ცხრილის თანახმად მას შესაძლებელი იყო ჰქონოდა 1 საათიანიც;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობებში არსებული საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯვნას არ საჭიროებს 508.4 ცხრილის მოთხოვნით, დერეფნის სივრცე გამიჯნულია 708.3 ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათი, რაც აკმაყოფილებს 420.2 ქვეთავის მოთხოვნებს; საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან თარაზულადაც არის გამიჯნული 711.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე იატაკის ანაწყობებით,რაც აკმაყოფილებს 420.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
- 1 საათიანი ც.ხ მქონე იატაკის ანაწყობით არის გამიჯნული შენობის ყველა სართული;
- კიბის უჯრედები შენობაში დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ც.ხ მქონე კედლის ანაწყობებით, რომლებსაც გააჩნია 45 წუთიანი ც.ხ მქონე კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავისა და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობაში არსებული და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი,შახტების (საჰაერო რაც შეესაბამება 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს (საჰაერო შახტის

ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით);

- შენობის დერეფნის კედლების ანაწყობებს ძირითადად აქვს 1 საათიანი ც.ხ, ხოლო მათში არსებულ კარებს 45 წუთიანი ც.ხ, რაც აკმაყოფილებს 1018.1 და 716.5 ცხრილების მოთხოვნებს. გამონაკლისს წრმოადგენს შენობის გზა-კიბეებთან 1023 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფანი და 1027.1 ქვეთავის №1 გამონაკლისის შესაბამისად მოწყობილი ჰოლი, რომლებიც შემოზღუდულია 2 საათიანი ც.ხ მქონე კედლებით, ხოლო ამ კედლებში არსებული კარების ც.ხ არის 90 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

ვინაიდან საპროექტო შენობა „წესების“ მიხედვით წარმოადგენს სც ჯგუფის მრავალფუნქციურ შენობას და მათი სიმაღლე მიწის დონიდან 30მ-ს არ აღემატება, 903.2.8 ქვეთავის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემის მთლიან შენობაში დაყენება საჭირო არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული.
აგრეთვე შენობაში გათვალისწინებულია:

- სახანძრო მილდგარების სისტემა.
- კვამლის კონტროლის სისტემა (ლიფტის შახტებში გათვალისწინებული დაწნევის სისტემის სახით);
- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები;
- ხელის ცეცხლმაქრები.

ლ)წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

- საცხოვრებელ ერთეულებში გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობა, რომელთა რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილით განსაზღვრულ რაოდენობა;
- შენობის 0,00 ნიშნულზეც განთავსებული სვ დაკავებულობისთვის, (მისი დაკავებულობის დატვირთვის სიმცირიდან გამომდინარე) წალსადენის სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ. თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხის 4, 697 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.11.13.002.166) საპროექტო მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41 დადგენილების; №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაშ შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინროკომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობისუსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების დაცვით!

ექსპერტი: მ. შელეკიძე 30 მაისი 2020 წ.

გამოყენებული მასალები:

ავტორ(ებ)ი: გ.კოპლატაძის ; ე.აბაკელიას მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. **არქიტექტურული პროექტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.**
2. **„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" საქართველოს მთავრობს 2014 წლის 1 იანვრიდან N59 დადგენილება**
3. **„ტექნიკურირეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოებისწესების" დამტკიცებისთაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.**

№498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილები ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009041

This is to certify that Mr./Mrs. Maka Shelekidze in the year 2002 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 15, 2002 Mrs. Maka Shelekidze is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector ....

Seal

Chairman of the State Examination Board ....

Dean ....

City Tbilisi September 30, 2002

Registration № 06509 Secretary ....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 009041

მიეცა მაკა ხვიჩაგელის ასულ შელეკიძეს მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით მაკა ხვიჩაგელის ასულ შელეკიძეს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი ....

ბ.ა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ....

დეკანი ....

ქალაქი თბილისი 30 სექტემბერი, 2002 წ.

სარეგისტრაციო № 06509 მდივანი ....

სერტიფიკატი

№ 2017 - 114

გადაეცემა

მაკა შელეკიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

არქიტექტორი

საკონტაქტო მონაცემები:

მობილური: 577 416 779

ელ-ფოსტა:
m.shelekidze@gmail.com

დაბადების თარიღი:
02 ივლისი, 19
79

www.facebook.com/maka shelekidze

www.pinterest.com/Maka Shelekidze/

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორის თანაშემწე,

შ. პ. ს. " საქალაქმშენპროექტი "

იან / 2003 - თებ/ 2002,

მოვალეობები:

სამედიცინო დაწესებულების პროექტირება-დიზაინი

არქიტექტორი,

შ. პ. ს " ხიდი "

ივლ / 2004 - ივლ / 2005,

მოვალეობები:

ხიდების მშენებლობა-რესტავრაცია, ნაპირსამაგრი სამუშაოები

(დამბების მოწყობა)

არქიტექტორი,

შ. პ. ს "გრაფიტი"

აგვ / 2005–ოქტ/2008წ,

მოვალეობები:

არქიტექტურა- პროექტირება-დიზაინი

დამფუძვნებელი,

შ. პ. ს "იტალლივინგი"

იან/ 2008–ივლ/2009წ,

მოვალეობები:

არქიტექტურა- პროექტირება-დიზაინი-აზომვითი

სამუშაოები-საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება

არქიტქტურის სამსახურთან. გრაფიკული პროგრამების

სასწავლო კურსები: Archi CAD; Auto CAD; 3Ds MAX; Photoshop

გრაფიკული პროგრამების-მიწვეული მასწავლებელი

შ. პ. ს "სპარ", იან/ 2010–მაისი/2014წ,

მოვალეობები: გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი

Archi CAD; Auto CAD;

სამუშაო გამოცდილება

გრაფიკული პროგრამების-მიწვეული მასწავლებელი

შ. პ. ს "NB",

იან/ 2010–მაისი/2014წ,

მოვალეობები:

გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი

Archi CAD; Auto CAD;

გრაფიკული პროგრამების-მიწვეული მასწავლებელი

შ. პ. ს "ქართული გენი",

თებ/ 2014–ივნ/2016წ,

მოვალეობები:

გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი

Archi CAD; Auto CAD;

არქიტექტორი

შ. პ. ს "რენესანს პროჯექტი",

ივნ / 2014–ივლ/2015წ,

მოვალეობები: არქიტექტურა- პროექტირება-დიზაინი

არქიტექტორი

ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო,

აპრ / 2016–მაისი/2017წ,

მოვალეობები:

შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; საგანმანათლებლო ან\და სამეცნიერო ან მათი დამხმარე შენობა-ნაგებობებისათვის საპროექტო ტერიტორიის ან\და შენობის

მოძიება, შერჩევა, შესწავლა; საპროექტო-საძიებო სამუშაოების განხორციელება; საპროექტო დოკუმენტაციის

შექმნა სტადიების მიხედვით; სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება; საპროექტო სატენდერო\საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადება; სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა-შესწავლა; სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის მონიტორინგი; დამსაქმებლის მითითების შემთხვევაში, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სარეკომენდაციო ხასიათის წერილობითი კონსულტაციის გაცემა შესაბამისი დასაბუთებით;

არქიტექტორი

შ.პ.ს. "არჩიგრამი"

აგვ/16 2017 - დღემდე

მოვალეობები: არქიტექტურა-პროექტირება-არტქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა " ტექნიკური რეგლამენტის-შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -საექსპერტო შეფასების მომზადება/კონსულტაცია

განათლება

თბილისის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
სექტემბერი / 1997 - ივლისი /2002 არქიტექტორი.
არქიტექტურის ფაკულტეტი.
მაგისტრთან გათანაბრებული.

უცხოენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი),

რუსული (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი),

ინგლისური (B1)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი), Microsoft Office Outlook (ძალიან კარგი), MS office applications (კარგი), Adobe Acrobat (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), AutoCAD (ძალიან კარგი), Corel (კარგი), Google Apps for Business (კარგი), illustrator (კარგი), PageMaker (დამაკმაყოფილებელი), Photoshop (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Windows Server (კარგი), ინტერნეტი (ძალიან კარგი), 3D MAX (კარგი)

საქმინობის ძირითადი მიმართულებები

ძირითადი საქმიანობა: საზოგოდაებრივი და საცხოვრებელი ობიექტების პროექტირება. ვმუშაობდი ქალაქგეგმარებით პროექტირებაზე. ვასრულებ მუშა საინჟინრო-ტექნიკურ და არქიტექტურულ ნახაზებს პროფესიონალურად, დეტალებში და კვანძებში.
მაქვს სამშენებლო ნახაზების შეფასების და გუნდური მუშაობის უნარი.
შემიძლია პრეზენტაციების მომზადება კონკრეტულ პროექტებზე.
დაპროექტებული მაქვს სხვადასხვა საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო ობიექტები. ვარ მიზანდასახული,
კომუნიკაბელური, ორგანიზებული. გამაჩნია პასუხისმგებლობის მაღალი დონე.

ექსპერტის განმარტებითი ბარათი

2020 წლის 21 აპრილის, გადაწყვეტილება № 4938390, განცხადების ნომერი: AR1742599 , ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხის N4, 697 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.11.13.002.166) მრავალფუნქციური შენობის ნომეკლატურა: ახალი მშენებლობა; პროექტის შეთანხმებ-ის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით დადგენილი ხარვეზების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

პუნქტი 1.

სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის სიმაღლე აღემატება 23 მმ-სს, შენობა საჭიროებს 2 კიბის უჯრედს.

მოგახსენებთ რომ:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული I B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 27.00 მეტრი, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 22.70 მ-ზე ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 302 ; თავი 5, ქვეთავი 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია

შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დანართის სახით გიგზავნით ფასადის განშლის PDF-ფაილს:

ასევე მოგახსენებთ რომ: - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ის ცხრილის ფაილში ჩამოთვლილი არის სრულად საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობის აღწერა , რომლის მიხედვით შესაბამისი დაკავებულობები შეესაბამება ქვემოთ მოყვანილ 1021.2(1) ცხრილის მონაცემებს და სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს:

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ქვეჯგუფი (ღია ავტოსადგომი (-8.10 ნიშნულზე))
2. სავაჭრო ჯგუფი სვ 2 კომერციული ფართი (-6.80 ნიშნულზე))
3. საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე სივრცე) -3.50 და +2.90 ნიშნულზე))
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ქვეჯგუფი (ღია და შემოზღუდული ავტოსადგომი (±0.00 ნიშნულზე))
5. საცხორვებელი ჯგუფი სც-2 ქვეჯგუფი (მრავალბინიანი სახლები) დამკავებლებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობების პირისთვის განკუთვნილი ნომერი (+6.20 ნიშნულიდან +22 .70 ნიშნულის ჩათვლით))სივრცის

- +6.20 ნიშნულიდან +22.70 ნიშნულის ჩათვლით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 მრავალბინიანი სახლების ქვეჯგუფი. შესაბამისად აკმაყოფილებს 1021.2(1) ცხრილის მოთხოვნებს.

ცხრილი 1021.2(1)-ის მიხედვით

სართულები ერთი გასასვლელით ან ერთი გასასვლელთან მისადგომით სც-2 დაკავებულობებისთვის:

სართულები ერთი გასასვლელით ან ერთი გასასვლელთან მისადგომით სც-2 დაკავებულობებისთვის

სართული	დაკავებულობა	მაქსიმალური ფართობი სართულზე, რომელსაც ერთი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი აქვს	საცხოვრებელი ერთეულების მაქსიმალური რაოდენობა სართულზე	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი
სართული მიწის დონის ქვემოთ და პირველიდან მერვე სართულის ჩათვლით, მაგრამ არაუმეტეს მაღლივი შენობისა	სც-2[ა,ბ]	400 მ^2	5 საცხოვრებელი ერთეული	38 მ
სართულები - მეცხრე და მის ზემოთ, ასევე მაღლივ შენობებში	დაუშვებელია	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება

ა. შენობები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სც-2 ჯგუფის და სადაც მოწყობილია 1029-ე ქვეთავის შესაბამისი საავარიო გასაქცევი და თავდასაღწევი ღიობები, რომლებთანაც მიდგომა შესაძლებელია სახანძრო მანქანის მეშვეობით;

ბ. ეს ცხრილი გამოიყენება სც-2 დაკავებულობებისთვის, რომლებიც მოიცავს საცხოვრებელ ერთეულებს. სც-2 დაკავებულობებისთვის, რომლებიც მოიცავს საძინებელ ერთეულებს, გამოიყენეთ ცხრილი 1021.2(2).

ექსპერტი: მ. შელეკიძე 30 მაისი 2020 წ.

გამოყენებული მასალები:

ავტორ(ებ)ი: გ.კოპლატაძის ; ს.ნანავა და ე.აბაკელიას მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.



ფორმატი A0

მასშტაბი 1:100